ოზურგეთის მუნიციპალიტე ტი

# საგადახდო მოთხოვნა # 00287

(დამტკიცებული ხაზინაში)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სახაზინო კოდი | 04 02 01 | დასახელება | განათლების სხვა ღონისძიებები | | |
| ვალდებულების # | 0081 | მოთხოვნის საფუძველი | მიღება-ჩაბარების აქტი_68-1_01/03/2018_; | | |
| საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი | 2.2.10.12 | თანხა ლარებში | 2,960.00 | თანხა სიტყვით | ორი ათას ცხრაასსამოცი ლარი |
| განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი | | | | 237114635 | |
| დასახელება | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი | | | | |
| მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი | | | 204572024 | | |
| დასახელება | შპს ეტალონი-მედია | | | | |
| მიმღების ბანკის კოდი | | | CRTUGE22 | | |
| დასახელება | ქ.თბილისი, სს "ბანკი ქართუ" | | | | |
| ანგარიშის # | GE08CR0030086101003608 | | საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი | | |
| გადახდის დანიშნულება | საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები (მიმდინარე წლის ხარჯი) - საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები (მიმდინარე წლის ხარჯი) | | | | |

| | | |
|---|---|---|
| *მოთხოვნის დამატება:* | მაკა ბეგიაშვილი | 07/03/2018 14:50 |
| *მოთხოვნის დამოწმება:* | მაკა ბეგიაშვილი | 07/03/2018 14:50 |
| *მოთხოვნის გაგზავნა middle-ოფისში:* | გია მამაკაიშვილი | 07/03/2018 15:12 |
| *მოთხოვნის გაგზავნა ხაზინაში middle-ოფისიდან:* | გია მამაკაიშვილი | 07/03/2018 15:12 |
| *მოთხოვნის მიღება:* | ხათუნა კოდუა | 07/03/2018 16:22 |
| *ბანკში გაგზავნა:* | | 07/03/2018 16:27 |

1995

GEORGIA STATE TREASURY

07/03/2018

ტრანზაქცია
განხორციელებულია

07/03/2018 14:40

# ვალდებულების დოკუმენტი

*(დამტკიცებული ხაზინაში)*

| | |
|---|---|
| 1. ვალდებულების დოკუმენტი #: | 81 |
| 2. სახაზინო კოდი და დასახელება: | 04 02 01<br>განათლების სხვა ღონისძიებები |
| 3. საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება: | 237114635 - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი |
| 4. ვალდებულების საფუძველი: | ხელშეკრულება #: 68; თარიღი: 23/02/2018 |
| 5. მომწოდებელი (საიდენტიფიკაციო კოდი): | 204572024 |
| 6. მომწოდებელი (დასახელება): | შპს ეტალონი-მედია |
| დაფარვის წყარო: | საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე |

(თანხა ლარებში)

| ნაწილი I: ივსება საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ | | | | |
|---|---|---|---|---|
| საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი | CPV კოდი | მომსახურების სახე | წარდგენილი ვალდებულება | დადასტურების თარიღი |
| 2.2.10.12 კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები | 79900000 სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები; 79952100 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება; | საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები (მიმდინარე წლის ხარჯი) | 2,960.00 | 07/03/2018 |
| | | სულ ჯამი: | **2,960.00** | |

| | | |
|---|---|---|
| *ვალდებულების დამატება:* | მაკა ბეგიაშვილი | 07/03/2018 14:31 |
| *ვალდებულების დამოწმება:* | მაკა ბეგიაშვილი | 07/03/2018 14:32 |
| *ვალდებულების გაგზავნა middle-ოფისში:* | გია მამაკაიშვილი | 07/03/2018 14:32 |
| *ვალდებულების გაგზავნა ხაზინაში middle-ოფისიდან:* | გია მამაკაიშვილი | 07/03/2018 14:33 |
| *ვალდებულების დამტკიცება:* | ნინო კაპანაძე | 07/03/2018 14:37 |

07/03/2018

მიღებულია

# ხელშეკრულება

*(დამტკიცებული ხაზინაში)*

| | |
|---|---|
| სახაზინო კოდი და დასახელება: | 04 02 01 განათლების სხვა ღონისძიებები |
| ხელშეკრულების ნომერი: | 68 |
| ხელშეკრულების თარიღი: | 23/02/2018 |
| მომწოდებლის კოდი: | 204572024 |
| მომწოდებლის დასახელება : | შპს ეტალონი-მედია |
| თანხა : | **2,960.00** |
| წინა წელს გადახდილი თანხა : | 0.00 |

**შინაარსი:**

| | |
|---|---|
| CPV 79900000 | სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები |
| CPV 79952100 | კულტურული ღონისძიებების ორგანიზება |

გრაფიკი:

| სახ. კოდი | დასახელება | თვე | თანხა | გადახდილი თანხა |
|---|---|---|---|---|
| 04 02 01 | განათლების სხვა ღონისძიებები | მარტი | 2,960.00 | |
| | | სულ: | **2,960.00** | |

| | | |
|---|---|---|
| *ხელშეკრულების დამატება:* | მაკა ზეგიაშვილი | 07/03/2018 14:17 |
| *ხელშეკრულების დამოწმება:* | მაკა ზეგიაშვილი | 07/03/2018 14:17 |
| *ხელშეკრულების გაგზავნა middle-ოფისში:* | გია მამაკაიშვილი | 07/03/2018 14:18 |
| *ხელშეკრულების გაგზავნა ხაზინაში middle-ოფისიდან:* | გია მამაკაიშვილი | 07/03/2018 14:19 |
| *ხელშეკრულების დამტკიცება:* | მწვანე დერეფანი | 07/03/2018 14:19 |

1995

07/03/2018

მიღებულია

# საქართველო
# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
# მერი

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: +995 599 51-88-41
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72.

## ბრძანება

N 670
20/02/2018

670-0-4-201802201031

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამიდან თანხის გამოყოფის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, *„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N1 დადგენილების მე-14 მუხლის 14.2. პუნქტის* შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. მედია-პროექტ „ეტალონის" საფინალო შეხვედრის ჩატარების ორგანიზებისათვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამიდან გამოიყოს 2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარი.
2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი"-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

კონსტანტინე შარაშენიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

N 2099 19/02/2018

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ კონსტანტინე შარაშენიძეს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის

განათლების და გენდერულ საკითხთა

განყოფილების უფროსის მარინა ჯაფარიძის

**მოხსენებითი ბარათი**

ბატონო კონსტანტინე,

მოგახსენებთ, რომ სამსახურის 2018 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებულია მედია-პროექტის „ეტალონის" საფინალო შეხვედრის ჩატარება სსიპ ქალაქ ოზურგეთის N2 საჯარო სკოლაში. შეხვედრა გაიმართება ა/წ 1 მარტს და მასში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო და სამრევლო სკოლების მოსწავლეები.

მედია-პროექტთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს აღნიშნული ღონისძიების დაფინანსებას 2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარით.

გთხოვთ, ბიუჯეტიდან გამოყოთ მოთხოვნილი თანხა.

პატივისცემით,

მარინა ჯაფარიძე

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
განათლებისა და გენდერულ საკითხთა განყოფილება

# „ეტალონი-მედია" ჯგუფი

№18/19-109

12 თებერვალი 2018 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ კონსტანტინე შარაშენიძეს

ბატონო კონსტანტინე, გაცნობებთ რომ „ეტალონის" რეგიონული გასვლითი ინტელექტუალური კონკურსის „2017-2018 სასწავლო წლის ოზურგეთის ეტალონი მოსწავლის" გამოსავლენი ღონისძიების ჩატარება ოზურგეთში დაგეგმილია 2018 წლის 01 მარტს. მერიის შესაბამის წარმომადგენელთან ერთად ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს ღონისძიებისათვის მზადება. ღონისძიების ჩატარებამდე საჭირო იქნება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება შპს „ეტალონი-მედიასა" და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის რომლის ღირებულებაც შეადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონისთვის" გათვალისწინებულ თანადაფინანსების თანხას - 2960 ლარს.

პატივისცემით,
სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტი „ეტალონის" ავტორი
აკადემიური დოქტორი გოჩა ტყეშელაშვილი

საკონტაქტო პირი:
თაკო ტყეშელაშვილი
პროექტის რეგიონული მენეჯერი
მობ: 577 68 15 15
Email: tako@etaloni.ge

მისამართი: წერეთლის გამზირი N116, დიდუბე პლაზა, ოფისი N203, საფოსტო ინდექსი: 0119, თბილისი
ტელეფონი: 790 10 27 29; 790 10 27 30 Email: info@etaloni.ge contact@etaloni.ge

1742
12 02 18
3

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი

# ე ტ ა ლ ო ნ ი

2017-2018 -სასწავლო წელი



**მიზნები:**

საქართველოს მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქებში 2017-2018 სასწავლო წლის „ეტალონი" მოსწავლეების გამოვლენა.

საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის" კონკურსებში ჩართულობით საქართველოს ყველა სკოლის უფროსკლასელ მოსწავლეთა მოტივირება და განათლებით უფრო მეტად დაინტერესება;

საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის" კონკურსებში საქართველოს ყველა სკოლის უფროსკლასელ მოსწავლეთა შორის ნიჭიერების: აღმოჩენა, წარმოჩენა და წახალისება !!!

საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის" კონკურსებში საქართველოს ყველა სკოლის უფროსკლასელ მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობით - სახელმწიფოს, სკოლისა და ოჯახების ინტერესების კვეთა სლოგანით: ბედნიერება ყველას სჭირდება !!!

**პროექტის განხორციელების სქემა:**

საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის" I საფეხურის ტესტირება ტარდება ადგილებზე (სკოლებში). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით და რესურსცენტრების მაქსიმალური ჩართულობით მუნიციპალიტეტის სკოლებს ეგზავნებათ სპეციალური ტესტები, რომლის შედეგების გათვალისწინებითაც გამოვლინდებიან პროექტის ნახევარფინალის მონაწილეები. ტესტირება უტარდებათ ცალ-ცალკე მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასელებს.

საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის" I საფეხურის ტესტირებას, შეჯამებას და დაარქივებას ახორციელებენ სკოლის უფლებამოსილი წარმომადგენლები - შერჩეული პედაგოგები;

ნახევარფინალის ღონისძიება **გოჩა ტყეშელაშვილის** ხელმძღვანელობით „ეტალონის" გუნდის მიერ ტარდება ადგილზე, მუნიციპალიტეტებსა და ქალაქებში სპეციალური IT ტექნოლოგიების გამოყენებით. ღონისძიებაში ერთდროულად მონაწილეობენ I ეტაპის შედეგად გამოვლენილი მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასელები. მონაწილეთა შორის გამოვლინდება გამარჯვებული, რომელსაც ენიჭება შესაბამისი მუნიციპალიტეტის/ქალაქის „**2017-2018 წლის ეტალონი მოსწავლის ტიტული**" და ავტომატურად ხდება პროექტის ფინალის მონაწილე.

2018 წლის გაზაფხულის ჩათვლით გამოვლინდებიან მუნიციპალიტეტების „2017-2018 სასწავლო წლის ეტალონი მოსწავლეები." გამოვლენილ „ეტალონ მოსწავლეებს" შორის კი გრანდიოზული ფინალური ღონისძიების შედეგად „**საქართველოს 2017-2018 სასწავლო წლის ეტალონი მოსწავლე**" გამოვლინდება.

„ეტალონში" ჩართული იქნება საქართველოს 9 რეგიონი, აჭარის ა/რ, აფხაზეთის ა/რ და თბილისი.

**შენიშვნა**: სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია ნახევარფინალის მონაწილეთა შერჩევის ტესტირების პროცესში მუნიციპალიტეტის/ქალაქის უფლებამოსილი წარმომადგენლის ჩართვა.

ერთი სკოლიდან ნახევარფინალში გადამსვლელი მოსწავლეების რაოდენობა შეზღუდული არ არის და მთლიანად დამოკიდებულია I ეტაპის ტესტირების შედეგებზე. ასევე არ არის შეზღუდული ნახევარფინალის მონაწილეთა მთლიანი რაოდენობა.

**ნახევარფინალის ჩატარების ადგილი:**
ღონისძიების ჩატარებისთვის სასურველია მოსწავლეთათვის კომფორტული დარბაზის გამოყოფა (სკოლის დიდი დარბაზი, კლუბი ან/და სხვა) სადაც მონაწილეთა ერთდროულად განთავსების და შეჯიბრის საშუალება იქნება. ღონისძიება ღიაა დამსწრე საზოგადოებისთვის და ტრადიციულად, მონაწილეებს **გულშემატკივრობენ** სკოლების წარმომადგენლები (დირექტორი, პედაგოგები, ადმინისტრაცია), მოსწავლეთა მშობლები და მეგობრები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და სხვა.

სასურველია შერჩეული ადგილი არ იყოს ძალიან ნათელი, ზედმეტი სინათლე ხელს უშლის კითხვების გამოსახულების აღქმადობას (კითხვების გაშვება ხდება პროექტორის საშუალებით). ამიტომ ფანჯრების არსებობის შემთხვევაში საჭიროა მათი დაფარვა ფარდით ან სხვა შესაბამისი საშუალებებით.

**ღონისძიების ჩატარების ადგილის ტექნიკური მოწყობა:**
საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის ჩატარების ადგილზე საჭირო იქნება ღონისძიების მონაწილეთათვის, „ეტალონის" წარმომადგენელთან დაზუსტების შესაბამისად, სკოლის ერთადგილიანი მერხის და სკამის შეთანხმებული რაოდენობის უზრუნველყოფა.

შენიშვნა: ხმის გამაძლიერებლებს, მიკროფონებს და ღონისძიების ჩატარებისათვის საჭირო ყველა სხვა პროგრამული ტექნიკის ჩამოტანას უზრუნველყოფს „ეტალონის" შემოქმედებითი ჯგუფი.

**დაჯილდოება:**
ინტელექტ-ჩემპიონატის თითოეულ მონაწილეს და გამარჯვებულს გადაეცემა შესაბამისი სიგელი და დიპლომი.

შენიშვნა: სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია მუნიციპალიტეტის/ქალაქის სახელით მონაწილეთათვის ან/და გამარჯვებულისათვის პრიზის დაწესება.

**სხვა დეტალები:**
სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია შემოქმედებით ჩართულობის გათვალისწინებაც, რაც გულისხმობს ღონისძიების პროგრამაში 1-3 მუსიკალური ნომრის (ცეკვა, სიმღერა) ან/და დეკლამაციის წარდგენას.

შენიშვნა: შემოქმედებითი მხარე უნდა ემსახურებოდეს დამსწრეებში პოზიტიური განწყობის ამაღლებას და „ეტალონის" წარმომადგენელთან უნდა შეთანხმდეს წინასწარ. სასურველია სიმღერებს ასრულებდნენ ჯგუფები და არა – სოლო მომღერლები და შესრულება იყოს ცოცხალი და არა – ფონოგრამა.

**ღონისძიების თარიღი:**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ღონისძიება დაგეგმილია 2018 წლის 01 მარტს.

**საკონტაქტო პირი:**
თაკო ტყემელაშვილი
პროექტის რეგიონული მენეჯერი
მობ: 593 40 00 15
Email: tako@etaloni.ge

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080106433848718

# 574

22 / თებერვალი /
2018 წ.

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 20 თებერვალს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის SMP180000528 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია მედიაპროექტ „ეტალონი"-ს მიერ ორგანიზებულ კონკურსში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და სამრევლო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობის ორგანიზების მომსახურება (CPV - 79900000 სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები).

**3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება**

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვის საჭიროება განპირობებულია ახალგაზრდულ პროგრამებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო და სამრევლო სკოლების მოსწავლეების ჩართულობის მიზნით.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, საქპატენტის მიერ გაცემული № 1197 სერთიფიკატის მიხედვით, მედიაპროექტ „ეტალონის" სცენარზე საავტორო უფლება გააჩნია გოჩა ტყემელაშვილს, რომელმაც ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილება, 2009 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ათი წლის ვადით, გადასცა შპს „ეტალონი-მედიას". შესაბამისად, მის გარდა არ არსებობს სხვა პირი, რომელიც შეძლებს აღნიშნული მომსახურების გაწევას.

**4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება**

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, საქპატენტის მიერ გაცემული № 1197 სერთიფიკატის მიხედვით, მედიაპროექტ „ეტალონის" სცენარზე საავტორო უფლება გააჩნია გოჩა ტყეშელაშვილს, რომელმაც ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილება, 2009 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ათი წლის ვადით, გადასცა შპს „ეტალონი-მედიას". შესაბამისად, არ არსებობს სხვა პირი, რომელიც შეძლებს აღნიშნული მომსახურების გაწევას.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე პირის/ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებლობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის SMP180000528 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე

# საქართველო
# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
# მერი

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავასქ. №1 ტელ: +995 599 51-88-41
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72,

## ბრძანება

N 672
20/02/2018

672-0-4-201802201559

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია აღნიშნავს, რომ მედიაპროექტ „ეტალონი"-ს ფარგლებში ქ. ოზურგეთის N2 საჯარო სკოლაში (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო და სამრელო სკოლების ჩართულობით) გაიმართება კონკურსი. ვინაიდან მედიაპროექტ „ეტალონ"-ს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტი"-ს მიერ გაცემული N1197 სერტიფიკატით გააჩნია კონკურსის ჩატარების ექსკლუზიური უფლებამოსილება, მომსახურება შესაძლებელია განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

გამომდინარე აქედან, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-$10^1$ (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად:

***ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ***

**1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელოს მედიაპროექტ „ეტალონი"-ს მიერ ორგანიზებული კონკურსის ჩატარების მომსახურების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შესყიდვის ღირებულება 2960 (ორიათასცხრაას სამოცი) ლარი.

**2.** დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (გ. მამაკაიშვილს) მიღებული ბრძანების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

**3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**4.** ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

კონსტანტინე შარაშენიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველო

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი «საქპატენტი»

# სერტიფიკატი

**N 1197**

**ავტორი:**

გოჩა ტყეშელაშვილი

**ნაწარმოები:**

ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი "ეტალონი" – სცენარი

**რეგისტრირებულია:**

2005 01 21

დავით გაბუნია

გენერალური დირექტორი

თბილისი

# შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი 1 ოქტომბერი 2009 წელი

ერთის მხრივ, **გოჩა ტყეშელაშვილი** (შემდგომში „ავტორი"), რომელიც ფლობს პროექტ „ეტალონის" საავტორო უფლებას (შემდგომში „პროექტი"), ოფიციალურად დადასტურებულს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" მოწმობებით №1197 21/01/2005 წელი

და მეორეს მხრივ **შპს „ეტალონი მედია"** წარმოდგენილი მისი დირექტორის **მანანა დოდობერიძის** სახით (შემდგომში „კომპანია"), ვთანხმდებით შემდეგზე:

## 1. შეთანხმების საგანი და მოქმედების ვადა

1.1. შეთანხმების საგანია პროექტი „ეტალონი" და ამ პროექტზე განსაკუთრებული ლიცენზია, საავტორო და მომიჯნავე უფლებები;
1.2 შეთანხმებაზე ხელმოწერის დღიდან პროექტ „ეტალონზე" განსაკუთრებული ლიცენზია, ყველანაირი საავტორო და მომიჯნავე უფლებები 10 (ათი) წლის ვადით გადაეცემა კომპანიას;
1.3 კომპანია ხდება პროექტ „ეტალონზე" განსაკუთრებული ლიცენზიის, ყველანაირი საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელი 2019 წლის 1 ოქტომბრამდე.

## 2. კომპანია ვალდებულია:

2.1 უზრუნველყოს პროექტი და მისი ავტორი იურიდიული, ფინანსური და ყველა სხვა სახის მომსახურებით, შეუქმნას შესაბამისი სამუშაო პირობები, გააფორმოს ხელშეკრულებები იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, უზრუნველყოს პროექტის ჩაწერა, გამზადება და ეთერში განთავსება, აწარმოოს მოლაპარაკებები და მოაგვაროს ამ პროცესებთან დაკავშირებული ყველანაირი საკითხი;
2.2 ოფიციალურ დოკუმენტებში და გადაცემის ტიტრებში დააფიქსიროს პროექტის ავტორის (გოჩა ტყეშელაშვილის) ვინაობა და აღნიშნოს, რომ კომპანია წარმოადგენს პროექტზე განსაკუთრებული ლიცენზიისა და საავტორო უფლებების ექსკლუზიურ მფლობელს;
2.3 მუშაობის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინოს ავტორის რჩევები და მითითებები;
2.4 პროექტზე მომუშავე შემოქმედებითი თუ ტექნიკური პირების ვინაობა შეუთანხმოს ავტორს.

## 3. ავტორი ვალდებულია:

3.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კომპანიას მიანიჭოს პროექტზე საავტორო და მომიჯნავე უფლებები ექსკლუზიურად;
3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გადასცეს საავტორო (მათ შორის ქონებრივი) უფლებები (მთლიანად ან ნაწილობრივ) სხვა რომელიმე კომპანიას ან კერძო პირს;
3.3 საჭიროების შემთხვევაში, კომპანიასთან წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე ჩაერთოს პროექტთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებასა და მოლაპარაკებებში.

## 4. დამატებითი დებულებები:

4.1 ავტორსა და კომპანიას შორის ფინანსური ანგარიშსწორების საკითხი დარეგულირდეს დამატებითი, კონფიდენციალური ხელშეკრულების საფუძველზე;
4.2 შეთანხმების ყველა პირობა კონფიდენციალურია, მხარეები ვალდებული არიან არ გაახმაურონ მისი პირობები ან სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდება წინამდებარე შეთანხმების მოქმედების პერიოდში ან მასთან დაკავშირებით;
4.3 დაუშვებელია შეთანხმების პირობების დარღვევა რომელიმე მხარის მიერ ცალმხრივად. შეთანხმების დარღვევის სურვილის შესახებ ერთმა მხარემ მეორეს უნდა აცნობოს წერილობით, საფუძვლიანი მიზეზების განმარტებით არაუგვიანეს ერთი თვით ადრე;
4.4 შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, ორივე მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი;
4.5 შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

## 5. მხარეთა ხელმოწერები:

**ავტორი:**

გოჩა ტყეშელაშვილი
პ/მ 01002010049
დაბ. 10.05.1967 წ.
მცხ. თბილისი, გლდანის ხევი
კორპ 7ა ბინა 79

/გ. ტყეშელაშვილი/

**კომპანია:**

შპს „ეტალონი-მედია"
თბილისი, თაბუკაშვილის ქ. №41
საიდ. კოდი 204572024
სს „ბანკი ქართუ" კოდი CRTUGE22
ა/ა GE08CR0030086101003608

/მ. ღლონტი/

# მიღება-ჩაბარების
# ა ქ ტ ი №68-1

ქ. ოზურგეთი 1 მარტი 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი - ერთის მხრივ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების და გენდერულ საკითხთა განყოფილების უფროსი მარინა ჯაფარიძე და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ეტალონი მედია"-ს დირექტორი მანანა ღოღობერიძე, ვადგენთ წინამდებარე აქტს შემდეგზე:

2018 წლის 23 თებერვლის №68 ხელშეკრულების შესაბამისად, შ.პ.ს. „ეტალონი მედიამ", ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას გაუწია საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონი 2018"-ის ქალაქ ოზურგეთში ჩატარების და მასში შემსყიდველის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობის ორგანიზება მომსახურება, დანართის შესაბამისად.

გაწეული მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 2 960 (ორიათასცხრაასამოცი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გათვალისწინებით, რაზედაც ხელს ვაწერთ:

ქ-ნ ნ. დარჩიას

ჩააბარე: /მ. ღოღობერიძე/

7.03.2018

ჩაიბარე: /მ. ჯაფარიძე/

*დანართი*

| N | ხარჯის დასახელება | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | კონკურსის შეკითხვების მომზადება, შერჩევა, რედაქტირება, პროგრამული დამუშავება „ეტალონი"-ს ექსკლუზიურ ფორმატში (პედაგოგების ჯგუფი და კითხვების მომზადების ჯგუფი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) | 824,00 |
| 2 | „ეტალონი"-ს ექსკლუზიურ ფორმატში ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ტექნიკური და შემოქმედებითი ჯგუფის შრომის ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) | 1195,00 |
| 3 | პროექტის საავტორო ჰონორარის ნაწილობრივი ანაზღაურება | 489,47 |
| | ჯამი | 2 508,47 |
| | დ.ღ.გ. 18% | 451,53 |
| | სულ ჯამი | 2 960 |

ჩავაბარე: /მ. ღოღობერიძე/

ჩავიბარე: /მ. ჯაფარიძე/

# საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 ბრძანებით

დადასტურებული 07/03/2018 14:23

| | |
|---|---|
| 1 | ეა-14 4153852 |

| | | |
|---|---|---|
| 3 | იანვარი | 2018 |

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | 02 | მარტი | 2018 |

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5.1 | 2 | 0 | 4 | 5 | 7 | 2 | 0 | 2 | 4 | | |

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| | |
|---|---|
| 5.2 | შპს ეტალონი-მედია |

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6.1 | 2 | 3 | 7 | 1 | 1 | 4 | 6 | 3 | 5 | | |

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| | |
|---|---|
| 6.2 | ს.ს.ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი |

დასახელება (სახელი, გვარი)

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
| ხელშეკრულების თანახმად | მომსახურება | | 2960.0000 | 451.5300 | 0.0000 |
| | | სულ | 2960 | 451.53 | 0 |

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის
ხელმოწერა________________________ ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე
ხელმოწერა________________________ ბ.ა.